ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის N06-01/129 დადგენილების
N1 დანართი

(კოდიფიცირებულია ცვლილებებით/დამატებებით:
- N06-01/35, 07.04.2025)

ბსუ-ს დოქტორანტურის დებულება

მუხლი 1.ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში ,,ბსუ“ ან ,,უნივერსიტეტი“) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე (შემდეგში ,,პროგრამა“) მიღების გამოცხადების, ჩარიცხვის, სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის შესრულების, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის, სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, სადოქტორო ნაშრომის დაცვის და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების რეგულაციას, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტის, ბსუ-ს წესდების და ბსუ-ს სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტუდენტის სტატუსის შეჩერების/სასწავლო პროცესში დაბრუნების, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტების გამოცემის პროცედურა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები (სასწავლო კომპონენტების შესრულება, შეფასება, გასაჩივრება და სხვა) რეგულირდება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“, თუკი საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით არ არის გათვალისწინებული საკითხის მოგვარების სპეციალური ნორმები.

მუხლი 2. ბსუ-ს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა (შემდეგში - სადოქტორო პროგრამა) არის აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა და რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს.
2. სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე ან/და არსებული ცოდნის განვითარებაზე, ცოდნის რეალიზებისა და გავრცელების ხელშეწყობაზე ორიგინალური, თანამედროვე და ინოვაციური კვლევების განხორციელებით.
3. სადოქტორო პროგრამის მიზანია კვლევითი უნარების გაღრმავების გზით ხელი შეუწყოს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობისთვის დოქტორანტების მომზადებას.
4. სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და შეესაბამება კვალიფიკაციის მერვე დონის აღმწერს.
5. ბსუ-ს სადოქტორო პროგრამის შემუშავება ხდება კვლევითი პოტენციალის, შესაბამისი მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების, წარმატებული

პრაქტიკის და კვლევის შედეგების გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის“ შესაბამისად.

6. ბსუ-ს სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის შედეგებს უნდა გააჩნდეს სამეცნიერო-კვლევითი მნიშვნელობა, იყოს ინოვაციური, პრაქტიკული ან თეორიული ღირებულების მქონე.

7. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წელია და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს. პროგრამის სასწავლო კომპონენტები, მისი თანმიმდევრობა და მოცულობა (არაუმეტეს 60 კრედიტი) განისაზღვრება ბსუ-ს შესაბამისი სადოქტორო პროგრამით.

მუხლი 3. ბსუ-ს სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და პროგრამის ხელმძღვანელი

1. ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული უნდა იყოს შესაბამისი დარგის/მიმართულების არანაკლებ ხუთი, ბსუ-სთან აფილირებული, პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ან/და უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია უნდა დადასტურდეს ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამისი დარგის/მიმართულების Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით.

3. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს ბსუ-სთან აფილირებული პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი ან მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ამასთან, უნდა გააჩნდეს პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობისა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნას (გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის თაობაზე).

4. ბსუ-ს ხელს უწყობს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის, ან ბსუ-ს ემერიტუსის აკადემიური სტატუსის მქონე პირის ჩართულობას.

5. ბსუ-ს მიერ სხვა საგანმანათლებლო/სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან ერთობლივი სადოქტორო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, დოქტორანტის ხელმძღვანელობისა და დოქტორის ხარისხის მინიჭების პროცედურა განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით, წინამდებარე დებულებით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პირობები და მიღების გამოცხადება (კონკურსი)

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, მათ შორის, უცხო ქვეყნის უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტები მიიღება კონკურსის წესით, უცხო ენის ცოდნის დონის დადასტურების/უცხო ენის გამოცდის და სპეციალობის გამოცდის (გასაუბრების) შედეგების გათვალისწინებით.

3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება (კონკურსი) ცხადდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, ხუთი თვით ადრე, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული მისაღები კონტინგენტის ფარგლებში. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის ფარგლებში მიღება და ჩარიცხვა ხორციელდება, საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებისა და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ში მობილობის ადმინისტრირების წესის“ მოთხოვნებისა და ვადების დაცვით.

4. სადოქტორო პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კვლევითი მიმართულებების ფარგლებში მზადდება **სადოქტორო ნაშრომის კვლევითი პროექტის მოკლე აღწერილობა** (შემდეგში - კვლევითი პროექტი), დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მითითებით.

5. სადოქტორო ნაშრომის კვლევითი პროექტის მოკლე აღწერილობები (კვლევითი პროექტ(ებ)ი, შედგენილი ამ დებულებაზე თანდართული ფორმის შესაბამისად - **ფორმა N1),** მზადდება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების **გამოცხადებამდე** **სამი თვით ადრე და** პროგრამის განმახორციელებელი **დარგობრივი დეპარტამენტის წარდგინებით მტკიცდება შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ.**

6. სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული კვლევითი პროექტ(ებ)ის შესაბამისად, ფაკულტეტის საბჭოს ინიცირებით, აკადემიური საბჭო ამტკიცებს სადოქტორო საგანმანათლებლო **პროგრამაზე მისაღებ კონტინგენტს** (ასევე მობილობის/შიდა მობილობის კონტინგენტს, საჭიროების შესაბამისად).

7. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებაში მიეთითება:

ა) ინფორმაცია დოქტორანტობის კანდიდატების განაცხადების რეგისტრაციის ვადები და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა;

ბ) კვლევითი პროექტ(ებ)ის ჩამონათვალი, სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის მითითებით;

გ) მისაღები გამოცდ(ებ)ის/გასაუბრების ჩატარებისა და გასაჩივრების ვადები;

დ) სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ დოქტორანტობის კანდიდატებთან ხელშეკრულების გაფორმებისა და ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანების გამოცემის ვადები.

8. **დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება** (კონკურსში მონაწილეობისათვის უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი):

ა) საკვლევი მიმართულების შესაბამისი ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ ორწლიანი პროფესიული გამოცდილება;

ბ) კვლევითი პროექტის განხორციელების ინდივიდუალური ხედვა და ხელმძღვანელის თანხმობა (შედგენილი ამ დებულებაზე თანდართული **N2 ფორმ**ის შესაბამისად);

გ) ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე ან სხვა, **დასავლეთევროპული** (ფრანგული, გერმანული) ერთ-ერთი უცხოური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე **და** ინგლისურ ენის ცოდნა არანაკლებ B1 დონეზე; იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ/გერმანულ/ფრანგულ ენას, მოეთხოვება ამ უცხოური ენის C1 დონეზე ცოდნა;

დ) დოქტორანტობის იმ კანდიდატს, რომლისთვისაც ქართული არ არის მშობლიური ენა - ქართული ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი (რომლის

შესაბამისობას ადგენს/აფასებს უცხო ენის საგამოცდო კომისია) ან ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ბსუ-ს მიერ ორგანიზებული გამოცდის ჩაბარება.

მუხლი 5. სადოქტორო პროგრამაზე მისაღები გამოცდები, კომისიები და ჩარიცხვა

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისათვის უცხო ენის ცოდნის დონის (კომპეტენციის) დადასტურების/გამოცდის ჩატარების მიზნით იქმნება საუნივერსიტეტო საგამოცდო კომისია, ხოლო ,,სპეციალობაში" გასაუბრების/გამოცდის ორგანიზების მიზნით - **დარგობრივი კომისია.** კომისიების შემადგენლობა მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.
2. სპეციალობის გამოცდის დარგობრივი კომისია შედგება არანაკლებ სამი წევრისგან, რომელთა კომპეტენცია დასტურდება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესაბამისი დარგის/მიმართულების Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით.
3. სპეციალობაში გასაუბრებამდე/გამოცდამდე არანაკლებ ორი სამუშაო დღით ადრე სპეციალობის დარგობრივი კომისიის წევრებს ეგზავნებათ დოქტორანტობის კანდიდატების კვლევითი პროექტების განხორციელების ინდივიდუალური ხედვები და მათი სამეცნიერო ხელმძღვანელების თანხმობების აქტები. გასაუბრება/გამოცდა კომისიის მიერ ფასდება 100-ქულიანი სისტემით (ამ დებულებაზე თანდართული შეფასების **ფორმა N3**).
4. უცხო ენაში გამოცდის შედეგები აისახება შესაბამის უწყისში (თანდართული უწყისის **ფორმა N3)** მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა, ხოლო კომპეტენციის მინიმალური ზღვარი - 71 ქულა.
5. სადოქტორო პროგრამაზე მისაღებ კონკურსში თანაბარქულიანი დოქტორანტობის კანდიდატების არსებობის შემთხვევაში, **უპირატესობა ენიჭება სპეციალობის გამოცდის/გასაუბრების შედეგებს.** ასევე გაითვალისწინება შესაბამისი სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული მიღების დამატებითი პირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
6. სადოქტორო პროგრამაზე მისაღებ კონკურსში გამარჯვებულ დოქტორანტობის კანდიდატთან ფორმდება ხელშეკრულება, რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად და აღნიშნულის გათვალისწინებით უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას დოქტორანტობის კანდიდატის ჩარიცხვის შესახებ.
7. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე კანდიდატთა ჩარიცხვის პროცედურების გასაჩივრების წესი საჯაროა და უზრუნველყოფს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას. დოქტორანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის პროცედურების გასაჩივრების მიზნით, დოქტორანტურაში მიმღებ კომისიასთან ერთად, ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია (ამავე ბრძანებით განისაზღვრება: კომისიის შემადგენლობა და მის საქმიანობასთან დაკავშირებული ვადები და წესი, რაც არ არის გათვალისწინებული ამ დებულებით). გასაჩივრების შემთხვევაში, კანდიდატი შედეგების გაცნობიდან/საჯარო გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობითი განცხადებით **(აპელაცია)** მიმართავს სააპელაციო კომისიას. განაცხადი უნდა მოიცავდეს დეტალურ აღწერას და დასაბუთებას დოქტორანტურაში მიღების ან/და ჩარიცხვის პროცედურებში გამოვლენილი დარღვევების შესახებ. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია კანდიდატს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან/და მოიწვიოს საჩივრის/აპელაციის განხილვაზე არაუგვიანეს განხილვამდე 1 დღით ადრე. სააპელაციო

კომისია აპელაციის განხილვის შედეგად, სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, კერძოდ:
ა) იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება პროცედურული დარღვევა, შესაბამისი დასაბუთებით (მითითებით) საკითხი უბრუნდება დოქტორანტურაში მიმღებ კომისიას (საგამოცდო კომისიას), საჭირო პირობების დაცვით მისი ხელახლა განხილვის მიზნით;
ბ) იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო კომისია ვერ დაადგენს დარღვევას, დოქტორანტურაში მიმღები კომისიის (საგამოცდო კომისიის) გადაწყვეტილება რჩება უცვლელი. სააპელაციო კომისია ვალდებულია გადაწყვეტილება გაუგზავნოს/გააცნოს აპელანტს. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

მუხლი 6. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და მისი ფუნქციები

1. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს **შესაბამისი დარგის/მიმართულების** ბსუ-სთან აფილირებული პროფესორი/ ასოცირებული პროფესორი/მთავარი მეცნიერი თანამშრომელი/უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ან ბსუ-ს ემერიტუსის აკადემიური სტატუსის მქონე პირი.
2. დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს სამეცნიერო თანახელმძღვანელი, რომელიც შეიძლება იყოს:
ა) ბსუ-სთან აფილირებული პროფესორი/ასოცირებული პროფესორი/მთავარი მეცნიერი თანამშრომელი/უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ან ბსუ-ს ემერიტუსის აკადემიური სტატუსის მქონე პირი;
ბ) საქართველოს ან უცხოეთის სხვა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორი/ასოცირებული პროფესორი ან მთავარი მეცნიერი თანამშრომელი/უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;
გ) დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც გააჩნია შესაბამის დარგში სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება.
3. ბსუ-სთან აფილირების გაუქმება არ იწვევს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის სტატუსის დაკარგვას.
4. სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის კვალიფიკაცია დასტურდება **ბოლო სამი წლის განმავლობაში** შესაბამისი (სადოქტორო ნაშრომის ზოგადი თემატიკის) დარგის/მიმართულების Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით და <u>ბოლო ათი წლის განმავლობაში</u> სამეცნიერო საგრანტო პროექტში <u>ძირითადი პერსონალის</u> სტატუსით მონაწილეობით.
5. სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება ან გავლილი შესაბამისი აქტივობა (ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა.) ან ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან სამეცნიერო თანამშრომლობის გამოცდილება (ერთობლივი კვლევები/გრანტები/სამეცნიერო პროექტები);
6. სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი და სადოქტორო ნაშრომის თემა მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, <u>დოქტორანტის ჩარიცხვიდან ორი კვირის ვადაში.</u> სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის და სადოქტორო ნაშრომის თემის ამ მუხლით დადგენილი წესით ცვლილებების შემთხვევაში გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება.

7. სადისერტაციო საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შეცვლა.
8. დოქტორანტისათვის სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შეცვლის შესახებ ინიციატორი შეიძლება იყოს სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი ან/და დოქტორანტი. ცვლილების შესახებ განცხადებას განიხილავს შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო, რომელიც იღებს დასაბუთებულ წარდგინებას და ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათით წარედგინება ბსუ-ს რექტორს, შესაბამისი ბრძანების გამოცემისათვის.
9. სადოქტორო ნაშრომის სათაურის შეცვლა (დაზუსტება) შესაძლებელია დოქტორანტის სწავლების მეხუთე სემესტრის დაწყებამდე. ასეთ შემთხვევაში, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართავს შესაბამისი ფაკულტეტის დარგობრივ დეპარტამენტს, რომელიც ერთი თვის ვადაში განიხილავს შუამდგომლობას და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, წარდგინებით მიმართავს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს. დარგობრივი დეპარტამენტის წარდგინების რეგისტრაციიდან მომდევნო ერთი თვის ვადაში ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას სადისერტაციო თემის სათაურის დაზუსტებასთან დაკავშირებით. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებას ფაკულტეტის დეკანი წარუდგენს ბსუ-ს რექტორს, შესაბამისი ბრძანების გამოცემისათვის.
10. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი წარმართავს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულების პროცესს. **სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქციებია:**
ა) ინდივიდუალური საჭიროებებისა და დოქტორანტის სადისერტაციო თემის სპეციფიკის გათვალისწინებით, რეგულარულად უწევს დოქტორანტს კონსულტაციებს კვლევის მეთოდოლოგიურ, სტრუქტურულ, კონცეპტუალურ და სხვა საკითხებზე (კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნება). დოქტორანტის სამეცნიერო თანახელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში, თანამშრომლობს მასთან, დოქტორანტის ხელმძღვანელობის ორგანიზებულად წარმართვისა და სადოქტორო ნაშრომის შესრულების ხელშეწყობისათვის;
ბ) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ აქტივობებს, მათ შორის წარადგენს სადოქტორო ნაშრომის შესახებ ამ დებულებით გათვალისწინებული დასკვნებს.
11. დოქტორანტის სამეცნიერო თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხარდაჭერას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში, სამეცნიერო ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 7. სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები

1. სადოქტორო პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. სასწავლო კომპონენტი (არაუმეტეს 60 კრედიტი) გულისხმობს სავალდებულო და არჩევით სალექციო კურსებსა და სემინარებს, ხოლო კვლევითი კომპონენტი მოიცავს სადოქტორო ნაშრომის შესრულებას.

2. სასწავლო კომპონენტი სფეროს აქტუალურ საკითხებზე ცოდნის გაღრმავებისა და ტრანსფერული უნარების განვითარების გზით ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელებას.
3. დარგობრივი კომპეტენციებისა და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტი **უზრუნველყოფს:** კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვის და განხორციელების, გრანტების მოძიების და ადმინისტრირების, პროექტების მართვის, კვლევის შედეგების იმპლემენტაციის, სამეცნიერო კომუნიკაციის, ლიდერობის, ხელმძღვანელობის, კარიერის განვითარების დაგეგმვის, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკულ ანალიზის, მონაცემთა ანალიზს, სწავლა-სწავლების და სხვა უნარების გამომუშავებას.

მუხლი 7. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმები

1. დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, **სწავლის დაწყებიდან ორ თვეში** (სწავლების პირველ სემესტრში/მობილობით ჩარიცხვის სემესტრში) ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევით გეგმებს (ამ დებულებაზე თანდართული **N4 ფორმა).** დოქტორანტის ინდივიდუალურ კვლევით გეგმაში მოცემულია კვლევის მიზანი, სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის განხორციელების სავარაუდო განრიგი.
2. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმა ინახება დოქტორანტის პირად საქმეში.

მუხლი 8. პროფესორის ასისტენტობა

1. პროფესორის ასისტენტობა არის სასწავლო კომპონენტის შემადგენელი ნაწილი და გულისხმობს დოქტორანტის ჩართულობას სასწავლო პროცესში, რაც გულისხმობს ბსუ-ს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ჯგუფში მუშაობის, ლაბორატორიული სამუშაოს, პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარებას, შუალედური და დასკვნითი გამოცდის საკითხების/ტესტების მომზადებას და ა.შ.
2. დოქტორანტი სასწავლო კომპონენტის - ,,პროფესორის ასისტენტობა“ ხელმძღვანელს (გარდა ასისტენტ-პროფესორისა) წარუდგენს ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ, ამ დებულებაზე თანდართული ფორმით **(ფორმა N5**), რომელიც უზრუნველყოფს შეფასების უწყისის გაფორმებას და ფაკულტეტის ადმინისტრაციისათვის წარდგენას (განთავსდება დოქტორანტის პირად საქმეში).

მუხლი 9. სადოქტორო სემინარი

1. სასწავლო კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტი ვალდებულია მოამზადოს სადოქტორო სემინარი დარგში და ქვედარგში. სემინარის შესასრულებლად სასწავლო სემესტრი და კრედიტების რაოდენობა განისაზღვრება სადოქტორო პროგრამით.
2. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომის თემა ეძღვნება დარგის, ქვედარგის აქტუალურ საკითხებს, მაგრამ არ მოიცავს დოქტორანტის კვლევის შედეგებს (არსებობის შემთხვევაში).
3. აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში დოქტორანტი ირჩევს სასემინარო თემას, სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

4. სემინარის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით (60 ქულა- შინაარსობრივი მხარე და 40 ქულა - პრეზენტაცია).
5. სემინარის ჩატარებამდე 10-15 კალენდარული დღით ადრე დოქტორანტი სასემინარო ნაშრომს წარუდგენს სამეცნიერო ხელმძღვანელს, რომელიც აფასებს შინაარსობრივ მხარეს შემდეგი კრიტერიუმებით: საკითხის დასმა; საკითხის გადაწყვეტის გზა; მიღებული შედეგები; მათი არგუმენტირებული დასაბუთება და სხვ. – მაქსიმალური შეფასება - 60 ქულა. სემინარში მონაწილეობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სასემინარო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასება მინიმუმ 31 ქულით.
6. სასემინარო ნაშრომის პრეზენტაციას, დისკუსიაში მონაწილეობას (15–25 წუთი) აფასებს რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია (არანაკლებ 3 პირი, მათ შორის სამეცნიერო ხელმძღვანელი).
7. სემინარის დაცვის საბოლოო შეფასება აისახება უწყისში (ამ დებულებაზე თანდართული **ფორმა N6**). სემინარი დაცულად ჩაითვლება, თუკი დოქტორანტი საბოლოოდ მიიღებს არანაკლებ 51 ქულას.
8. სადოქტორო სემინარი წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი მოთხოვნების დაცვით: სასემინარო თემის ბეჭდური ვერსია (25–30 გვერდი, A4 ფორმატი, შრიფტი - sylfaen, შრიფტის ზომა - 12, სტრიქონებს შორის მანძილი -1,5; დაშორება გვერდებიდან 3–1,5 სმ).
9. დოქტორანტების სემინარებისა ჩატარების განრიგი და შემფასებელი კომისიის შემადგენლობა მტკიცდება დეკანის წარდგინების საფუძველზე გამოცემული რექტორის ბრძანებით, დასკვნითი გამოცდების დაწყებამდე არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა.

მუხლი 10. დოქტორანტის კოლოქვიუმი

1. დოქტორანტისთვის განსაზღვრულია ორი კოლოქვიუმის შესრულება. კოლოქვიუმი არის დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ნაწილი, რომლის მომზადება მიზნად ისახავს:
ა) დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის გაღრმავებას;
ბ) დარგის ინოვაციური კვლევის მეთოდოლოგიის დამოუკიდებლად შემუშავებასა და სრულყოფას;
გ)კოლოქვიუმის თემის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკულ გააზრებას;
დ) პრეზენტაციის უნარისა და დისპუტის ხელოვნების განვითარება-სრულყოფას;
ე) სამეცნიერო პუბლიკაციის მომზადებას რეფერირებადი ჟურნალისათვის.
2. დოქტორანტი კოლოქვიუმის დაცვამდე 10-15 კალენდარული დღით ადრე სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგენს კოლოქვიუმის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიას, განმავითარებელი შეფასების მიღების მიზნით, გადაეცემა შესაბამისი აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მქონე პირს (რეცენზენტს) და სამეცნიერო ხელმძღვანელს.
3. კოლოქვიუმი მოიცავს დოქტორანტის მოხსენებას, რეცენზიისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნის წარდგენასა და დისკუსიას.
4. კოლოქვიუმის შედეგის შესახებ დეპარტამენტის საოქმო გადაწყვეტილება ინახება დოქტორანტის პირად საქმეში.
5. კოლოქვიუმი გაფორმებული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნების შესაბამისად:
ა) ნაშრომის ტექნიკური პარამეტრები: ზღვრული მოცულობა - 50–60 გვ.;
ბ) ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი;
გ) ფურცლის ზომა - A/4; ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს 12-იანი შრიფტით, შრიფტის სახეობა – sylfaen; სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5; გვერდის საზღვრები: მარცხნიდან 3 სმ., მარჯვნიდან – 1 სმ., ზემოდან – 2,5 სმ., ქვემოდან – 2,5 სმ.

მუხლი 11. სადოქტორო ნაშრომის მომზადება და წინასწარი განხილვა (აპრობაცია)

1. დოქტორანტის მიერ სადოქტორო ნაშრომის (დისერტაცია) მომზადება უნდა მოხდეს ამ დებულებით დადგენილი წესით.
2. დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგებს, შეიცავდეს მეცნიერულ სიახლეს და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში (თუ დოქტორანტი კვლევით ჯგუფშია ჩართული, ნათლად უნდა ჩანდეს მისი წვლილი კვლევისას).
3. დისერტაცია უნდა მომზადდეს ქართულ ენაზე. სხვა (დასავლეთ ევროპულ) ენაზე მომზადების საკითხს წყვეტს შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო (ასეთ შემთხვევაში, დოქტორანტი უზრუნველყოფს დისერტაციის შემოკლებული ვერსიის (**რეფერატის**) ქართულ და ინგლისურ ენაზე წარმოდგენას).
4. **დისერტაცია უნდა მომზადდეს შემდეგი მოთხოვნების (ტექნიკური პარამეტრების) დაცვით:**

ა) თავფურცელზე, დისერტაციის პირველ გვერდზე -ზემოთ უნდა მიეთითოს უსდ-ს სრული დასახელება (საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი). მომდევნო სტრიქონზე, 1,5 ინტერვალის დაშორებით, შესაბამისი ფაკულტეტისა და დარგობრივი დეპარტამენტის დასახელება, შემდეგ მიეთითება დოქტორანტის სახელი და გვარი, პირველი გვერდის ცენტრში – დისერტაციის სათაური (შრიფტის ზომა - 16), შემდეგ - ფრჩხილებში, საძიებელი აკადემიური ხარისხი, მის ქვემოთ, მარჯვენა მხარეს - დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა/აკადემიური სტატუსი და აკადემიური ხარისხი, სახელი და გვარი. თავფურცლის ბოლოს მიეთითება სადოქტორო ნაშრომის შესრულების ადგილი და ნაშრომის წარდგენის წელი;

ბ) ნაშრომის მეორე გვერდზე უნდა განთავსდეს ავტორის განაცხადი ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ. სასურველია შემდეგი შინაარსის ტექსტის გამოყენება: ,,როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული, სათანადო წესების შესაბამისად“ (ამ განაცხადის ტექსტის ქვემოთ უნდა მიეთითოს ავტორის სახელი, გვარი, ხელმოწერა და თარიღი);

გ) სარჩევში - თანმიმდევრულად უნდა აისახოს დისერტაციის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტი დასახელება, გვერდების მითითებით;

დ) შესავალი – მასში წარმოდგენილი უნდა იყოს საკვლევი თემის აქტუალურობის დასაბუთება, მიზნები და ამოცანები, კვლევის საგანი და ობიექტი, კვლევის მეთოდოლოგია, პრობლემის შესწავლის მდგომარეობა, სამეცნიერო სიახლე, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა;

ე) ძირითადი ტექსტი - უნდა ასახავდეს ნაშრომის შინაარსს. მასში უნდა გამოიყოს თავები და პარაგრაფები;

ვ) დასკვნა – უნდა წარმოადგენდეს კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველ ნაწილს;

ზ) გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა - უნდა მიეთითოს ბსუ-ს ციტირების წესის შესაბამისად;

თ) საილუსტრაციო მასალა.

5. სადოქტორო ნაშრომის ტექნიკური პარამეტრებია: ზღვრული მოცულობა - 100 - 200 გვ.; ფურცლის ზომა - A4; შრიფტის ზომა - 12, შრიფტის სახეობა – Sylfaen; სტრიქონებს შორის მანძილი - 1,5; გვერდის საზღვრები: მარცხნიდან - 3 სმ., მარჯვნიდან - 1,5 სმ., ზემოდან და ქვემოდან – 2,5 სმ.

6. დოქტორანტის მიერ სასწავლო კომპონენტის შესრულებისა და სამეცნიერო კომპონენტით გათვალისწინებული აქტივობების შემდეგ (არაუგვიანეს მე-6 სემესტრის ბოლოს), შესაბამის დარგობრივ დეპარტამენტში ხდება სადოქტორო ნაშრომის წინასწარი განხილვა **(აპრობაცია).**
7. დოქტორანტი აპრობაციამდე 10-15 კალენდარული დღით ადრე შესაბამის დარგობრივ დეპარტამენტს წარუდგენს სადოქტორო ნაშრომის ორ ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიას. ნაშრომის შეფასების მიზნით დეპარტამენტი გამოყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ორ რეცენზენტს (პირებს, რომლებთანაც დოქტორანტს არა აქვს საერთო კვლევა და ინტერესი, რაც დაკავშირებულია სადოქტორო ნაშრომთან). რეცენზენტის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 3 წლის განმავლობაში შესაბამისი (სადოქტორო ნაშრომის ზოგადი თემატიკის) დარგის/მიმართულების Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით.
8. აპრობაცია მოიცავს დოქტორანტის მოხსენებას, რეცენზიებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნის წარდგენას, დისკუსიას და შეფასებას (დადებითი - დაშვება საჯარო დაცვაზე ან უარყოფითი - ნაშრომის დაბრუნება გადასამუშავებლად/ხარვეზების გასასწორებლად).
9. აპრობაციაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დოქტორანტს უბრუნდება სადოქტორო ნაშრომი და მომდევნო სემესტრის განმავლობაში გადამუშავებული ნაშრომის ხელახალი წარდგენის საშუალება ეძლევა. დადებითი შეფასების შემთხვევაში - დოქტორანტი ვალდებულია, შესაბამისი რეცენზიების/შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული სადოქტორო ნაშრომი, შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად, წარუდგინოს სადისერტაციო საბჭოს, აპრობაციიდან (წინასწარი დაცვა) **არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვისა,** რათა უზრუნველყოფილი იქნეს სწავლების მომდევნო სემესტრში დისერტაციის საჯარო დაცვისათვის გასატარებელი ღონისძიებების გონივრულ ვადაში განხორციელება (აკადემიური კალენდრის და ამ დებულებით დადგენილი შესაბამისი პროცედურებისათვის განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით).
10. აპრობაციის შედეგის შესახებ დარგობრივი დეპარტამენტის საოქმო გადაწყვეტილება (ფაკულტეტის მიერ დამოწმებული ამონაწერი) ინახება დოქტორანტის პირად საქმეში, ასევე ეგზავნება დოქტორანტს და ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს.

მუხლი 12. სადისერტაციო ნაშრომის მსგავსების მაჩვენებლის განსაზღვრა (ანტიპლაგის პროგრამაში შემოწმება)

1. დოქტორანტი ვალდებულია სადოქტორო ნაშრომის წინასწარ განხილვამდე (აპრობაციამდე) ატვირთოს სადოქტორო ნაშრომი Moodle-ის პლატფორმაზე, ანტიპლაგის (მსგავსების დეტექტირების) პროგრამის მეშვეობით სადოქტორო ნაშრომში მსგავსების არსებობის შემოწმების მიზნით.
2. დოქტორანტის ნაშრომში მსგავსების არარსებობის შემთხვევაში დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ფაკულტეტის დეკანს წარუდგენს დასკვნას სადოქტორო ნაშრომის აპრობაციაზე დაშვების შესახებ. აღნიშნული დასკვნა უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: ა) ნაშრომის დასახელება; ბ) ავტორის ვინაობა; გ) ნაშრომის მოკლე მიმოხილვა; დ) აქტუალურობის დასაბუთება; ე) მსგავსების დეტექტირების (ანტიპლაგის პროგრამა) შედეგად გამოვლენილი მსგავსების მაჩვენებელი; ვ) არგუმენტირებული პოზიცია ნაშრომის წინასწარ დაცვაზე (აპრობაცია) დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე. აღნიშნული დასკვნა ხელმძღვანელმა უნდა გააცნოს დოქტორანტს.

3. დოქტორანტის ნაშრომში სხვა ნაშრომთან მსგავსების არსებობის შემთხვევაში, სამეცნიერო ხელმძღვანელი Moodle-ის პლატფორმაზე უთითებს შესაბამის კომენტარებს და აღნიშნავს/უთითებს მსგავსებების დასაშვებ კატეგორიებზე (ლიტერატურა, ციტირება, საკანონმდებლო აქტი და სხვა). დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ფაკულტეტის დეკანს წარუდგენს დასკვნას დოქტორანტის მიერ სადოქტორო ნაშრომში არსებული მსგავსებების აღმოფხვრის შემდეგ ანტიპლაგის პროგრამაში ხელახლა ატვირთვის საჭიროების თაობაზე. აღნიშნული დასკვნა ფაკულტეტის დეკანისათვის წარდგენამდე სამეცნიერო ხელმძღვანელმა უნდა გააცნოს დოქტორანტს.

4. დოქტორანტი უფლებამოსილია ანტიპლაგის (მსგავსების დეტექტირების) პროგრამაში პირველადი შემოწმების შემდეგ სხვა ნაშრომთან მსგავსების არსებობის შემთხვევაში, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნის გათვალისწინებით, 15 დღის ვადაში ხელახლა ატვირთოს ნაშრომი Moodle-ის პლატფორმაზე. ამის შემდეგ მსგავსების განმეორებით აღმოჩენის შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით იქმნება კომისია, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, სამეცნიერო კვლევების სამსახურის, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, შესაბამისი დარგის სპეციალისტების შემადგენლობით, რომლებიც იკვლევენ ნაშრომში მსგავსების საკითხს (პლაგიატის ნიშნებს). კომისია ნაშრომის შემოწმებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარულ დღეში იღებს გადაწყვეტილებას სადოქტორო ნაშრომის აპრობაციაზე დაშვების ან დაუშვებლობის შესახებ, საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. კომისიის დასკვნა, კომისიის თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათთან ერთად წარედგინება ბსუ-ს რექტორს, შემდგომი რეაგირებისათვის.

მუხლი 13. სადოქტორო ნაშრომის საჯარო დაცვისათვის წარდგენის წინაპირობები

სადოქტორო ნაშრომის საჯარო დაცვისათვის წარდგენის წინაპირობებია:

ა) დოქტორანტის მიერ სადოქტორო ნაშრომის თემაზე შესრულებული **მინიმუმ სამი პუბლიკაცია (ნაშრომი/სტატია),** დაბეჭდილი ან დასაბეჭდად მიღებული, მათ შორის ერთი **შესაბამისი** (სადოქტორო ნაშრომის თემატიკის) **დარგის/მიმართულების** Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities - ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით გამოცემების ნუსხას შეიმუშავებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო და ამტკიცებს აკადემიური საბჭო) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში;

ბ) სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის **ინტერნაციონალიზაცია**, რაც გულისხმობს საერთაშორისო რეცენზირებას უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალის, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის მიერ. რეცენზენტის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 3 წლის განმავლობაში **შესაბამისი დარგის/მიმართულების** Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით. საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნა სავალდებულო არ არის ქართული ფილოლოგიის შემთხვევაში.

მუხლი 14. სადოქტორო ნაშრომის წარდგენა საჯარო დაცვისთვის

1. ამ დებულებით დადგენილი წესით მომზადებული სადოქტორო ნაშრომის 5 ეგზემპლარი (ასევე ელექტრონული ეგზემპლარი) წარედგინება შესაბამის სადისერტაციო საბჭოს, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) დოქტორანტის განცხადება რექტორის სახელზე (განცხადებაში უნდა აღინიშნოს, რომ დოქტორანტმა შეასრულა სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები, მზადაა სადოქტორო ნაშრომის საჯარო დაცვისათვის და ნაშრომი არ წარმოადგენს პლაგიატს);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;

გ) ავტობიოგრაფია;

დ) სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა სადოქტორო ნაშრომის საჯარო დაცვისთვის მზაობის შესახებ;

ე) სადოქტორო ნაშრომის ელექტრონული ვერსია;

ვ) შესაბამისი წესით დამოწმებული გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების/ სტატიების სია;

ზ) სადოქტორო ნაშრომის წინასწარი განხილვის (აპრობაციის ოქმი) და რეცენზენტების დასკვნები;

თ) რეფერატი (30-40გვ), ქართულ და ინგლისურ ენებზე, ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია.

2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ორგანიზებას უწევს სადოქტორო ნაშრომის და რეფერატის წინამდებარე დებულებით განსაზღვრული ტექნიკური პარამეტრების ექსპერტიზას (შეფასებას) და რეფერატის ქართულ და ინგლისურენოვან ვერსიას საერთაშორისო რეცენზირებისთვის გადასცემს სამეცნიერო კვლევების სამსახურს.

3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, სამეცნიერო კვლევების სამსახურის მიერ საერთაშორისო რეცენზიის წარდგენის შემდეგ, 10 (ათი) დღის ვადაში გამოყოფს სადოქტორო ნაშრომის **3 (სამ) შემფასებელს,** რომელთაც სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო. შემფასებლის კვალიფიკაცია, სამეცნიერო კვლევების სამსახურის მიერ დასტურდება <u>ბოლო 3 წლის განმავლობაში</u> **შესაბამისი დარგის/მიმართულების** Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით.

4. სადოქტორო ნაშრომის შემფასებელი არ შეიძლება იყოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი ან დოქტორანტის მიერ შესრულებული ნაშრომის თანაავტორი.

5. შემფასებლებმა დასკვნა უნდა წარმოადგინონ სადოქტორო ნაშრომის გადაცემიდან არაუგვიანეს ერთი თვისა. შემფასებლები დასკვნებს გადასცემენ სადისერტაციო საბჭოს.

6. დასკვნაში უნდა შეფასდეს ჩატარებული კვლევის აქტუალობა, სიახლე, ორიგინალობა, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის დიზაინის და მეთოდოლოგიის ადეკვატურობა, კვლევის პირველადი მასალის ობიექტურობა და სარწმუნოობა, დისერტაციის სტრუქტურა, გაფორმების ხარისხი და ენობრივი გამართულობა და დასკვნით ნაწილში უნდა მიეთითოს გადაწყვეტილება დისერტაციის დაცვაზე დაშვების ან არ დაშვების შესახებ.

7. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დოქტორანტს წერილობით უნდა აცნობოს შემფასებლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, მისი მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

8. ორი შემფასებლის მიერ უარყოფითი დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში დოქტორანტი დისერტაციის საჯარო დაცვაზე არ დაიშვება.

9. სადოქტორო ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს ინიციატივით გამოიცემა **ბსუ-ს რექტორის ბრძანება** სადოქტორო ნაშრომის **საჯარო დაცვის თარიღის და სადისერტაციო კომისიის განსაზღვრის შესახებ** (ბრძანებაში და

დოქტორანტისათვის გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს საჯარო დაცვის თარიღი, დრო და ადგილი). შეტყობინებიდან დაცვის თარიღამდე დოქტორანტს დაცვისათვის მოსამზადებლად ეძლევა არანაკლებ 15 კალენდარული დღისა.

10. სადოქტორო ნაშრომის საჯარო დაცვამდე 15 დღით ადრე დოქტორანტის რეფერატი განთავსდება ბსუ–ს ვებგვერდზე, სადოქტორო ნაშრომის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა ბსუ–ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკას.

11. სადოქტორო ნაშრომის საჯარო დაცვაზე არ დაშვების შემთხვევაში, სადოქტორო ნაშრომის და შემფასებლების დასკვნები ინახება სადისერტაციო საბჭოში. დოქტორანტი უფლებამოსილია გაეცნოს ამ დოკუმენტებს.

12. სამეცნიერო კვლევების სამსახური, დოქტორანტების მიერ სადოქტორო ნაშრომის მომზადებისა და დაცვისთვის წარდგენის პროცესის მხარდაჭერის მიზნით, **უზრუნველყოფს:**

ა) სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტით (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების N6 დანართი) გათვალისწინებული დოქტორანტის მხარდაჭერის სერვისების შესახებ დოქტორანტთა ინფორმირებას, ხელს უწყობს ამ სერვისების მათთვის ხელმისაწვდომობას;

ბ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და რექტორის მოადგილესთან (სამეცნიერო მიმართულებით კოორდინირების ფუნქციების შემსრულებელთან) შეთანხმებით განიხილავს დოქტორანტის მიერ შესრულებული (გამოქვეყნებული) პუბლიკაციების წინამდებარე დებულებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას (უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერებით დადასტურდება დოქტორანტის მიერ, წინამდებარე დებულების **№7 ფორმის** შესაბამისად შევსებული დოკუმენტი**);**

გ) უზრუნველყოფს ინგლისურენოვანი რეფერატის საერთაშორისო რეცენზირების (წინამდებარე დებულების **N8 ფორმით** დადგენილი წესით) პროცესის ორგანიზებას და შესაბამის დასკვნებს გადასცემს სადისერტაციო საბჭოს (დოქტორანტისთვის ან/და მისი ხელმძღვანელისთვის <u>რეცენზიის გაცნობამდე უზრუნველყოფს</u> საერთაშორისო რეცენზენტის ვინაობის კონფიდენციალურობის დაცვას);

დ) ქმნის უცხოელ ექსპერტთა მონაცემების საინფორმაციო ბაზას (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და რექტორის მოადგილესთან (სამეცნიერო მიმართულებით) შეთანხმებით).

ე) სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, <u>უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და რექტორის მოადგილესთან (სამეცნიერო მიმართულებით) კოორდინაციით,</u> ამუშავებს და აანალიზებს მათი კარიერული განვითარების მონაცემებს (მაჩვენებლებს), რომლის შედეგები მიმართული იქნება სადოქტორო პროგრამის, მისი რესურსების და დოქტორანტების მხარდამჭერი მექანიზმების განვითარებისათვის;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში წინამდებარე დებულებით და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.

მუხლი 15. სადისერტაციო კომისია

1. სადოქტორო ნაშრომის საჯარო დაცვაზე შეფასების მიზნით ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ იქმნება სადისერტაციო კომისია. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობა, თავმჯდომარე და მდივანი, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წარდგინების საფუძველზე, მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

2. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კენტი რიცხვით, მინიმუმ შვიდი წევრით, რომლის შემადგენლობაში შედის საქართველოს ან/და უცხოეთის არანაკლებ ორი სხვა უსდ-ს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის აკადემიური და სამეცნიერო

პერსონალი ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი. სადისერტაციო კომისიის მუშაობაში არ მონაწილეობს დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი.
3. სფეროს თავისებურების გათვალისწინებით, სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში საჭიროების შემთხვევაში შედიან შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის საერთაშორისო შემფასებელი/შემფასებლები, არასამთავრობო სექტორის, შრომის ბაზრის წარმომადგენელ(ებ)ი.
4. სადისერტაციო კომისიის წევრს უნდა ჰქონდეს **დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი** და მისი კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს ბოლო 5 წლის განმავლობაში შესაბამისი დარგის/მიმართულების Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით.
5. სადისერტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კომისიის წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი.
6. დისერტაციის შეფასების წესი და სადისერტაციო კომისიის მუშაობის პროცედურები განისაზღვრება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

მუხლი 16. სადოქტორო ნაშრომის საჯარო დაცვა

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა არის საჯარო და ღია. საჯარო დაცვის ენა არის ქართული, თუ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.
2. სადოქტორო ნაშრომი და რეფერატი (ქართულ და ინგლისურ ენებზე) დაცვამდე 15 დღით ადრე გადაეცემა სადისერტაციო კომისიის წევრებს და ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკას.
3. რეფერატი ქართულ და ინგლისურ ენებზე სადოქტორო ნაშრომის საჯარო დაცვამდე 15 დღით ადრე განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. სადოქტორო ნაშრომის საჯარო დაცვის პროცედურა ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის წარდგენას (პრეზენტაცია), სამეცნიერო დისკუსიას, სადისერტაციო კომისიის შეფასებას, კერძოდ:
ა) სადისერტაციო კომისიის მდივანი წარადგენს ინფორმაციას დოქტორანტის და სადოქტორო ნაშრომის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით;
ბ) დოქტორანტი წარადგენს სადოქტორო ნაშრომს (პრეზენტაციის ხანგრძლივობა 30 წუთი);
გ) საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნის წარდგენა;
დ) შემფასებელთა (სადისერტაციო კომისიის წევრების) გამოსვლას და სადოქტორო ნაშრომის ანალიზს;
ე) დოქტორანტის პასუხებს შემფასებელთა მიერ დასმულ შეკითხვებზე, რეკომენდაციებსა და შენიშვნებზე;
ვ) შეკითხვებს დოქტორანტისადმი, სამეცნიერო დისკუსიას, აზრის გამოთქმას;
ზ) სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ სადოქტორო ნაშრომის შეფასებას, ფარული კენჭისყრით;
თ) ფარული კენჭისყრის ოქმის დამტკიცებასა და სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარის შემაჯამებელ გამოსვლას.
5. სადისერტაციო კომისიის შეფასება ეგზავნება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს, რომელიც მას განიხილავს მიღებიდან არაუგვიანეს ათი კალენდარული დღის ვადაში, ფაკულტეტის სადისერტაციო დებულების მოთხოვნათა დაცვით.
6. თუ დოქტორანტი **არ ეთანხმება სადისერტაციო კომისიის შეფასებას** ან მიიჩნევს, რომ დარღვეულია სადოქტორო ნაშრომის დაცვის რეგლამენტით გათვალისწინებული

პროცედურული ნორმები, მას უფლება აქვს, შეფასების გამოცხადებიდან (გაცნობიდან) 5 კალენდარული დღის ვადაში საჩივრით (აპელაცია) მიმართოს ბსუ-ს რექტორს და გაასაჩივროს სადისერტაციო კომისიის შეფასება.

7. დოქტორანტის სააპელაციო განაცხადში უნდა იყოს მითითებული გასაჩივრების საგანი და საჩივრის არგუმენტები. ამასთან, გასაჩივრების საგანი შეიძლება იყოს:

ა) სადისერტაციო კომისიის შეფასება;

ბ) სადოქტორო ნაშრომის დაცვის რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურული ნორმების დარღვევა, რომელმაც იმოქმედა სადოქტორო ნაშრომის დაცვის შედეგებზე.

8. საჭიროების შემთხვევაში, დოქტორანტის საჩივრის (სააპელაციო/საპრეტენზიო განაცხადის) საფუძველზე, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ბსუ-ს რექტორი ამტკიცებს სააპელაციო კომისიის შემადგენლობას. სააპელაციო კომისია უნდა შედგებოდეს **არანაკლებ 5 წევრისგან,** მათ შორის შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და არანაკლებ სამი წევრი, რომლებიც არ იყვნენ აპელანტი დოქტორანტის დისერტაციის შემფასებელი სადისერტაციო კომისიის წევრები და რომელთა კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესაბამისი დარგის/მიმართულების Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით.

9. სააპელაციო კომისია საჩივარს განიხილავს და იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

ა) აკმაყოფილებს საჩივარს და საკითხს განსახილველად უბრუნებს სადისერტაციო საბჭოს;

ბ) არ აკმაყოფილებს საჩივარს და უცვლელად ტოვებს დისერტაციის დაცვის საკითხზე მიღებულ (გასაჩივრებულ) გადაწყვეტილებას.

10. დოქტორანტის საჩივრის განხილვის დეტალური პროცედურა განსაზღვრულია შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

11. დოქტორანტურის იმ საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, რომელთა დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ უნივერსიტეტის და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხი, შესაძლებელია არსებობდეს დისერტაციის დაცვის განსხვავებული რეგულაცია, რომელსაც შეიმუშავებენ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები და დამტკიცდება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

მუხლი 17. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება

1. ბსუ-ს დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის საჯარო დაცვის სადისერტაციო კომისიის მიერ დადებითად შეფასების გათვალისწინებით, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო დოქტორანტს ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს. მისანიჭებელი დოქტორის აკადემიური ხარისხის ფორმულირება ხდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად.

2. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მიზნით გამართულ სადისერტაციო საბჭოს სხდომას ესწრება სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე, დოქტორანტი და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

3. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დისერტაციის შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ დამსწრეებს ინფორმაციას აწვდის სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე.

4. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მიზნით გამართულ სხდომაზე საჭიროების შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს წევრს უფლება აქვს, ნაშრომთან დაკავშირებით დაუსვას შეკითხვები დოქტორანტს და მოითხოვოს მისგან განმარტებები.
5. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ მიიღება ღია კენჭისყრით, ამ დებულებისა და **შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების** მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 18. დისერტაციის გამოქვეყნება და დოქტორის დიპლომის გაცემა

1. დოქტორანტი ვალდებულია საჯარო დაცვიდან არაუმეტეს სამი თვის ვადაში გამოაქვეყნოს სადოქტორო ნაშრომი ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით.
2. ერთიანი ეროვნული ელექტრონული პორტალის ამოქმედების შემდგომ, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს **მიმდინარე** სადოქტორო ნაშრომების თემატიკისა და დაცული დისერტაციების შესახებ ინფორმაციის განთავსებას ერთიან ელექტრონულ პორტალზე.
3. დოქტორის დიპლომი სტანდარტულ დანართთან ერთად გაიცემა სადოქტორო ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე, ბსუ-ში დიპლომების გაცემის რეგულაციის შესაბამისად.
4. დადასტურებული პლაგიატის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით ბათილდება დოქტორის ხარისხის მინიჭების გადაწყვეტილება და შესაბამისად, გამოიცემა რექტორის ბრძანება დოქტორის დიპლომის გაცემის თაობაზე ბრძანების ბათილად ცნობისა და დიპლომის სტანდარტული დანართის გაუქმების თაობაზე.

მუხლი 19. დოქტორანტის აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია

1. ყოველი სასწავლო წლის (სემესტრის) დაწყებამდე ბსუ–ს რექტორის ბრძანებით განისაზღვრება ბსუ-ს სტუდენტთა (მათ შორის დოქტორანტთა) აკადემიური რეგისტრაციის (სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ათვისებაზე ვალდებულების აღება) და ადმინისტრაციული რეგისტრაციის პერიოდი (სწავლის სემესტრული საფასურის გადახდის პერიოდი, წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,სწავლის საფასურის გადახდის წესის“ შესაბამისად).
2. სადოქტორო პროგრამაზე სწავლის საფასური განისაზღვრება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით და აისახება ბსუ-ს და დოქტორანტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

მუხლი 20. დოქტორანტის მობილობა (შიდა მობილობა)

1. დოქტორანტს უფლება აქვს შეიცვალოს სადოქტორო პროგრამა ბსუ-ში (შიდა მობილობა), ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ პერიოდში, გაზაფხულის ან შემოდგომის სემესტრის მობილობაზე, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში მობილობის ადმინისტრირების წესის“ და მობილობის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანების შესაბამისად.
2. დოქტორანტის მიერ სადოქტორო პროგრამის შეცვლა ბსუ-ში ფორმდება რექტორის ბრძანებით, შიდა მობილობის შედეგების მიხედვით.
3. დოქტორანტს უფლება აქვს გადავიდეს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სადოქტორო პროგრამაზე და შესაბამისად, შეუწყდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 21. დოქტორანტისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა

1. დოქტორანტისთვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის **შეჩერების საფუძველია:**

ა) ადმინისტრაციული (სწავლის საფასურის გადახდა) ან/და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა;

ბ) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

დ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა);

ე) საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და სხვა აქტებით განსაზღვრული შემთხვევები.

2. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არა უგვიანეს 15 დღისა. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის ან სხვა შემთხვევაში, როცა დოკუმენტურად დასტურდება სტუდენტის სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა, გამონაკლისი შესაძლოა დადგინდეს რექტორის ბრძანებით, ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

3. დოქტორანტისთვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის **შეწყვეტის საფუძველია:**

ა) პირადი განცხადება;

ბ) დოქტორის ხარისხის მინიჭება;

გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა;

დ) ერთი და იგივე სასწავლო კურსის სამჯერ მოსმენა/გავლა და კრედიტის ვერ მიღება (სამჯერ შეფასების „ჩაჭრა“ – F“ მიღება);

ე) ჯამში 5 წლის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ვ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლოს დაწესებულებაში გადასვლა (მობილობა);

ზ) გარდაცვალება;

თ) საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესით ან/და დოქტორანტთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა.

4. დოქტორანტის სწავლების ექვსი სემესტრის (სადოქტორო პროგრამის ოპტიმალური ვადის) გასვლის შემდეგ დოქტორანტის სწავლის ვადის გახანგრძლივება (სწავლების სემესტრის/სემესტრების დამატება) შესაძლებელია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით. დასაშვებია ერთდროულად არაუმეტეს 2 სემესტრის, ხოლო ჯამში <u>ოთხი სემესტრის დამატება. სწავლის ვადის გახანგრძლივების საფუძველია</u> დოქტორანტის განცხადების საფუძველზე წარმოდგენილი სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობა, რომელშიც მიეთითება დოქტორანტის მიერ სასწავლო/სამეცნიერო კომპონენტების შესრულების მიმდინარეობის შესახებ (შედეგები) და უნდა დასაბუთდეს სწავლის/კვლევის გაგრძელების მიზანშეწონილობა. დოქტორანტისათვის სწავლის ვადის გაგრძელების თაობაზე დოქტორანტის განცხადება და სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობა განიხილება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე და მიღებულ გადაწყვეტილებას ფაკულტეტის დეკანი წარუდგენს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. დოქტორანტის სწავლის ვადის გახანგრძლივების (დამატებითი სემესტრების რაოდენობის შესახებ) გადაწყვეტილება მიიღება სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის დარჩენილი ვადის გათვალისწინებით.

მუხლი 22. გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე დებულება ძალაშია 2024 წლის 27 დეკემბრიდან და ვრცელდება ამ დებულების ამოქმედების დროისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის მქონე დოქტორანტებზე, ამ მუხლით დადგენილი გარდამავალი დებულებების გათვალისწინებით.
2. 2016-2017 სასწავლო წლამდე პერიოდში ჩარიცხული ბსუ-ს დოქტორანტებისათვის (რომელთა მიმართ მოქმედებდა ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების" გარდამავალი დებულება) **სადოქტორო ნაშრომის საჯარო დაცვისათვის წარდგენის წინაპირობაა:** მათი სადოქტორო ნაშრომის თემაზე შესრულებული <u>მინიმუმ სამი ნაშრომი/სტატია იყოს</u> დაბეჭდილი ან დასაბეჭდად მიღებული საზღვარგარეთ ან საქართველოში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად/ რეცენზირებად ან დადებითი იმპაქტ ფაქტორის მქონე ელექტრონულ ან ბეჭდურ ჟურნალში, ან შესაბამის დარგობრივ სამეცნიერო საერთაშორისო ჟურნალში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში.
3. 2016-2017 სასწავლო წლიდან 2024-2025 სასწავლო წლამდე პერიოდში ჩარიცხული (,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილების მოქმედების პერიოდში ჩარიცხული) ბსუ-ს დოქტორანტებისათვის **სადოქტორო ნაშრომის საჯარო დაცვისათვის წარდგენის წინაპირობაა** (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს N19, 05.04.2017წლის დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების" მე-12 მუხლის რედაქციის შესაბამისად): დოქტორანტის მიერ სადოქტორო ნაშრომის თემაზე შესრულებული მინიმუმ **სამი** პუბლიკაცია (ნაშრომი/სტატია) უნდა იყოს დაბეჭდილი ან დასაბეჭდად მიღებული საზღვარგარეთ ან საქართველოში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ ან ბეჭდურ ჟურნალში ან შესაბამის საერთაშორისო დარგობრივ სამეცნიერო ჟურნალში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში, მათ შორის, ერთი სტატია უნდა იყოს გამოქვეყნებული Web of Science (Clarivate Analytics), ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities), Scopus ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალში (გამოცემების ნუსხას შეიმუშავებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო და ამტკიცებს აკადემიური საბჭო. შესაძლებელია პუბლიკაციებისადმი მოთხოვნის დიფერენცირება, მიმართულებების სპეციფიკიდან გამომდინარე).
4. **2024-2025 სასწავლო წლის მეექვსე სემესტრის ან/და 2024-2025 წლისთვის სწავლის** ვადაგაგრძელებული (დამატებითი სემესტრების) დოქტორანტის მიერ **სადოქტორო პროგრამის მოთხოვნების შესრულების მიზნით**, ნაცვლად წინამდებარე დებულების <u>მე-13 მუხლის ,,ბ" პუნქტის, მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებისა,</u> განისაზღვრება შემდეგი პირობები (მოთხოვნები/დოქტორანტის ვალდებულებები):

ა) სავალდებულოა სადოქტორო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაცია, რაც გულისხმობს, რომ დოქტორანტს ქართველი სამეცნიერო ხელმძღვანელის პარალელურად ჰყავდეს უცხოელი თანახელმძღვანელი ან სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის შემფასებელი არის დოქტორის აკადემიური ხარისხის და შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე უცხოელი შემფასებელი ან სადოქტორო ნაშრომის შემოკლებულ ვერსიას (რეფერატს) აქვს საერთაშორისო რეცენზია (ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახური, სადისერტაციო საბჭოსთან თანამშრომლობით ქმნის უცხოელ ექსპერტთა მონაცემების საინფორმაციო ბაზას და უზრუნველყოფს ავტორეფერატის ინგლისურენოვანი ვარიანტის საერთაშორისო რეცენზირებას, ამ დებულების **N9 ფორმის შესაბამისად).** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, კერძოდ, ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის მიმართულების სადოქტორო ნაშრომების ინტერნაციონალიზაციისათვის

საკმარისია ინგლისურენოვანი რეფერატის გასაცნობად გაგზავნა უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო–კვლევით ცენტრებში, რომელთა ნუსხას ადგენს შესაბამისი სადისერტაციო საბჭო. **(შენიშვნა:** ეს მოთხოვნა განისაზღვრა ამ დებულების მე-13 მუხლის ,,ბ" პუნქტის მოთხოვნის ნაცვლად);

ბ) საჯარო დაცვისათვის წარდგენილი დისერტაციის შემფასებელი უნდა იყოს მეცნიერების იმ დარგის/მიმართულების წარმომადგენელი, რომელშიც შესრულებულია დისერტაცია **(შენიშვნა:** ეს მოთხოვნა განისაზღვრა ამ დებულების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნის ნაცვლად).

5. 2024-2025 სასწავლო წლის მეექვსე სემესტრის ან/და 2024-2025 სასწავლო წლისათვის სწავლის ვადაგაგრძელებული (დამატებითი სემესტრების) დოქტორანტის <u>სადოქტორო ნაშრომების შეფასებისათვის</u> სადისერტაციო კომისიის შექმნისა და მუშაობის წესი რეგულირდება შემდეგნაირად **(შენიშვნა:** ამ დებულების მე-15 მუხლის პირველი-მე-5 პუნქტების ნაცვლად):

ა) სადისერტაციო ნაშრომის (დისერტაციის) საჯარო დაცვაზე შეფასების მიზნით სადისერტაციო საბჭოს მიერ იქმნება <u>დარგობრივი სადისერტაციო კომისია</u> (შემდეგში ,,დარგობრივი კომისია"), მინიმუმ შვიდი წევრის შემადგენლობით (როგორც წესი, შემადგენლობა განისაზღვრება კენტი რიცხვით). დარგობრივ კომისიას ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი (განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით). დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შესაბამისი დარგის/სპეციალობის უფროსი მეცნიერი თანამშრომლები და მთავარი მეცნიერი თანამშრომლები. ასევე შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირები საქართველოდან და უცხოეთიდან (მოიწვევა რექტორის ბრძანებით, სადისერტაციო საბჭოს წარდგინებით);

ბ) დარგობრივი სადისერტაციო კომისიის წევრებს დისერტაციის ელექტრონული ვერსია და რეფერატი (დისერტაციის შემოკლებული ვერსია) გადაეცემათ გასაცნობად დისერტაციის საჯარო დაცვამდე 15 დღით ადრე;

გ) დარგობრივი კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კომისიის წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი.

6. 2024-2025 სასწავლო წლამდე ჩარიცხული დოქტორანტების და მათი სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვროს წინამდებარე დებულებით განსაზღვრული <u>სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსის მქონე პირისათვის</u> განსაზღვრულით ფუნქციებით.

7. 2024-2025 სასწავლო წლის შემდგომის სემესტრში ჩარიცხული დოქტორანტებისათვის ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში, არაუგვიანეს 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე, შესაბამისმა ფაკულტეტებმა (სადისერტაციო საბჭოებმა) უზრუნველყონ სამეცნიერო ხელმძღვანელის და სამეცნიერო თანახელმძღვანელის სტატუსების განსაზღვრა და ბსუ-ს რექტორის ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ სამსახურებრივი ბარათების წარმოდგენა.

„ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების“
ფორმა №1

განაცხადი

სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და სადოქტორო კვლევითი პროექტის შესახებ

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა:----------

1. ინფორმაცია სამეცნიერო ხელმძღვანელის შესახებ

1.1. სახელი და გვარი ----------

1.2. აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა ან ემერიტუსის წოდება ----------

1.3. ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამისი (სადოქტორო ნაშრომის ზოგადი თემატიკის) **დარგის/მიმართულების** Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი:

	სამეცნიერო ნაშრომის დასახელება	წელი	ჟურნალი, ტომი, გვერდი, ელ. მისამართი	დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	სამეცნიერო ბაზის დასახელება	თანაავტორი	შენიშვნა

1.4. ბოლო ათი წლის განმავლობაში სამეცნიერო საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით მონაწილეობა:

	სამეცნიერო პროექტის სახელწოდება	პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღი	სტატუსი პროექტში	დამფინანსებელი ორგანიზაცია	ელექტრონული მისამართი	პროექტში ჩართული პირები	შენიშვნა

1.5. სამეცნიერო ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება

	უსდ-ს დასახელება	სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტუდენტის სახელი და გვარი	ნაშრომის სახელწოდება	წელი	შენიშვნა

1.6. რელევანტური ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა.

	ღონისძიების ტიპი	ღონისძიების დასახელება	ორგანიზატორი	ჩატარების თარიღი	ჩატარების ადგილი	შენიშვნა

1.7. ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან სამეცნიერო თანამშრომლობის გამოცდილება (ერთობლივი კვლევები/გრანტები/სამეცნიერო პროექტები)

_____
_____
_____

2. **ინფორმაცია სამეცნიერო თანახელმძღვანელის შესახებ** (არსებობის შემთხვევაში)

2.1. სახელი და გვარი ----------
2.2. აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა ან ემერიტუსის წოდება ----------
2.3. ბოლო სამი წლის განმავლობაში შესაბამისი (სადოქტორო ნაშრომის ზოგადი თემატიკის) დარგის/მიმართულების Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი:

	სამეცნიერო ნაშრომის დასახელება	წელი	ჟურნალი, ტომი, გვერდი, ელ. მისამართი	დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	სამცნიერო ბაზის დასახელება	თანაავტორი	შენიშვნა

2.4. ბოლო ათი წლის განმავლობაში სამეცნიერო საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით მონაწილეობა:

	სამეცნიერო პროექტის სახელწოდება	პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღი	სტატუსი პროექტში	დამფინანსებელი ორგანიზაცია	ელექტრონული მისამართი	პროექტში ჩართული პირები	შენიშვნა

3. სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე აღწერილობა
3.1. კვლევითი პროექტის დასახელება
3.2. კვლევის სიახლე და აქტუალურობა
3.3. კვლევის მიზნები, ამოცანები და კვლევის მეთოდოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა
სამეცნიერო თანახელმძღვანელის ხელმოწერა

თარიღი

,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების“

ფორმა N2

კვლევითი პროექტის განხორციელების ინდივიდუალური ხედვა და ხელმძღვანელის თანხმობა

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა:

1. **ინფორმაცია დოქტორანტობის კანდიდატის შესახებ**

1.1. სახელი, გვარი:

1.2. საკვლევი მიმართულების დარგში შესრულებული ნაშრომი/პუბლიკაცია:

	ნაშრომის/პუბლიკაციის დასახელება	წელი	ჟურნალი, ტომი, გვერდი, ელ. მისამართი	დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	სამეცნიერო ბაზის დასახელება	თანაავტორი	შენიშვნა

1.3. სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა :

	სამეცნიერო პროექტის დასახელება	პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღი	სტატუსი პროექტში	განმახორციელებელი ორგანიზაცია	ელექტრონული მისამართი	პროექტში ჩართული პირები	შენიშვნა

1.4. სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში მონაწილეობა

	ღონისძიების დასახელება	მოხსენების სათაური	ღონისძიების ორგანიზატორი	ღონისძიების თარიღი	ელექტრონული მისამართი	თანამომხსენებელი	შენიშვნა

1.5. შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი პროფესიული გამოცდილება

_____

2. **კვლევითი პროექტის განხორციელების ინდივიდუალური ხედვა**

2.1. **პროექტის დასახელება**

_____

2.2. **კვლევის სიახლე და აქტუალურობა** - პროექტით გათვალისწინებული კვლევის თემის/საკითხის მიმოხილვა, აღწერა, აქტუალურობისა და მეცნიერული სიახლის დასაბუთება (სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 600).

2.3. **კვლევის მიზნები, ამოცანები და კვლევის მეთოდოლოგია** - კვლევის მიზნებისა და ამოცანების ფორმულირება, კვლევის მეთოდების აღწერა, კვლევის მეთოდოლოგიის დასაბუთება (სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 400).

2.4. **კვლევის შედეგები, განვითარების პერსპექტივა და განხორციელების ეტაპები** - კვლევის მოსალოდნელი შედეგების ფორმულირება; კვლევის განვითარების შესაძლებლობა გრძელვადიან პერსპექტივაში (სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 400).

3. თანხმობა დოქტორანტობის კანდიდატის სამეცნიერო ხელმძღვანელობაზე/თანახელმძღვანელობაზე

3.1. ხელმძღვანელის სახელი, გვარი
ხელმოწერა
3.2. თანახელმძღვანელის სახელი, გვარი
ხელმოწერა

დოქტორანტობის კანდიდატის ხელმოწერა ----------

თარიღი:

ფორმა N 3

დოქტორანტობის კანდიდატთან გასაუბრების შეფასების ფორმა

”-----” ---------- ------- წ.

ფაკულტეტი ---------- სადოქტორო
საგანმანათლებლო პროგრამა ----------
კომისიის წევრის სახელი და გვარი, აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა ან ემერიტუსის წოდება ----------

---

N	დოქტორანტობის კანდიდატის სახელი, გვარი	კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვები, ან/და ჰიპოთეზები) - მაქსიმალური 40 ქულა	ლიტერატურის მიმოხილვა, ეთოდოლოგია და კვლევის განხორციელების ეტაპები - მაქსიმალური 20 ქულა	ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი - მაქსიმალური 20 ქულა	აკადემიური/ პროფესიული მიღწევები, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, საკუთარი შესაძლებლობებ ის გაცნობიერების, კომუნიკაციის უნარი - მაქსიმალური 20 ქულა

საგამოცდო კომისიის წევრის ხელმოწერა:

დოქტორანტობის კანდიდატთან გასაუბრების/გამოცდის შეფასების უწყისი

”-----” ------- ---------- წ.

ფაკულტეტი – ———————————————————————— სადოქტორო

საგანმანათლებლო პროგრამა _____

სპეციალობა (საგანი) ----------

	დოქტორანტობის კანდიდატის სახელი, გვარი	პირადი ნომერი	შეფასება	
			ქულა	სიტყვიერად

საგამოცდო კომისიის შემადგენლობა

	სახელი, გვარი	აკადემიური თანამდებობა	ხელმოწერა	
			თავმჯდომარე	
			წევრი	
			წევრი	
			წევრი	
			წევრი	

ფაკულტეტის დეკანი _____ (ბ. ა.)

,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების“

ფორმა N4

დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

დოქტორანტის სახელი და გვარი : _____
ფაკულტეტი: _____
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: _____
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები:

_____

_____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი:

_____

_____

დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების თარიღი და ნომერი ----------

სასწავლო კომპონენტი	კრედიტების რაოდენობა

დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა

დოქტორანტის სახელი და გვარი : _____
ფაკულტეტი: _____
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: _____
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/ თანახელმძღვანელი:

_____

_____

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი:

_____

_____

დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების თარიღი და ნომერი ----------

სადოქტორო ნაშრომის სახელწოდება ---------- სადოქტორო ნაშრომის მოკლე აღწერილობა:
ა) კვლევის მიზანი:
ბ) საკითხის აქტუალობა, სიახლე და მნიშვნელობა: გ) სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურა:
დ) სადოქტორო ნაშრომის შესრულების (კვლევის) სავარაუდო გრაფიკი:

ხელმოწერები:
დოქტორანტი _____ სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი:
პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი:

_____

_____

თარიღი: _____

„ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების“

ფორმა N 5

(ცვლილება - N06-01/35 -07.04.2025)

ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი: **„პროფესორის ასისტენტობა“**

დოქტორანტის სახელი და გვარი:

ფაკულტეტი:

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი:

დოქტორანტის ხელმძღვანელი კომპონენტში „პროფესორის ასისტენტობა“:

დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაო	**მაქსიმალური შეფასება (ქულა)**	**შეფასება**	**შენიშვნა**
მიმდინარე შეფასება (მაქსიმალური 60 ქულა)			მიმდინარე შეფასების მინიმალური ქულაა - 21
სასწავლო პროცესის ორგანიზება	40		
საგამოცდო პროცესის ორგანიზება	20		
დასკვნითი შეფასება (მაქსიმალური 40 ქულა)			დასკვნით შეფასებაში მინიმალური ქულაა - 20
საჩვენებელი სააუდიტორიო მეცადინეობის „ჯგუფში მუშაობის“ მომზადება და ჩატარება	40		
საბოლოო შეფასება	100		

დოქტორანტის ხელმოწერა:

„პროფესორის ასისტენტობის“ ხელმძღვანელის ხელმოწერა:

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა:

თარიღი:

დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაო	**დახარჯული დროის მოცულობა** (შედგენილია 5 კრედიტის მოცულობის სასწავლო კურსის მაგალითზე)	**შეფასება**
სასწავლო პროცესის ორგანიზება		
სილაბუსისათვის სასწავლო ლიტერატურისა და სხვა მასალების შერჩევა/მომზადება	საკონტაქტო საათების რაოდენობა: 3 დამოუკიდებელი საათების რაოდენობა: 15	10
სასწავლო მასალების ადაპტირება ლექცია-სემინარებისთვის	საკონტაქტო საათების რაოდენობა :3 დამოუკიდებელი საათების რაოდენობა:15	10
სტუდენტებთან კონსულტაციები	საკონტაქტო საათების რაოდენობა: 10 დამოუკიდებელი საათების რაოდენობა: 10	10
რეცენზიის მომზადება	საკონტაქტო საათების რაოდენობა: 2 დამოუკიდებელი საათების რაოდენობა: 10	10
საგამოცდო პროცესის ორგანიზება		
შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადება	საკონტაქტო საათების რაოდენობა: 2 დამოუკიდებელი საათების რაოდენობა: 10	10
სტუდენტთა ნაშრომების გასწორება	საკონტაქტო საათების რაოდენობა: 2 დამოუკიდებელი საათების რაოდენობა: 20	10
დასკვნითი შეფასება		
საჩვენებელი ,,ჯგუფში მუშაობის“ მომზადება და ჩატარება	საკონტაქტო საათების რაოდენობა: 3 დამოუკიდებელი საათების რაოდენობა: 20	40

ფორმა N6

სადოქტორო სემინარის შეფასების უწყისი

„____“ _____ წელი, დოქტორანტის გვარი, სახელი: ----------
- პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების სახელი, გვარი: ---------
სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის სახელი, გვარი: ----------

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ----------სადოქტორო სემინარის ნაშრომის დასახელება: ----------
---

შეფასების კომისია:
წევრი 1.---------- წევრი 2. ----------

წევრი 3. ----------

№	სასემინარო ნაშრომი სემინარის შეფასების კომპონენტები	შეფასების მაქსიმალური ქულა კომპონენტების მიხედვით (დაცვაზე გასვლის წინაპირობაა მინიმ.31 ქულა)	შეფასება
1	ნაშრომის შინაარსობრივი მხარე	60 ქულა	
2	ნაშრომის პრეზენტაცია (ფორმალური მხარე და დისკუსიაში მონაწილეობა)	40 ქულა	
სულ		100 ქულა	

კომისიის წევრების ხელმოწერა: ----------

---------- შევსების თარიღი: ----------

ფაკულტეტის დეკანი: ---------- (ბ.ა)

,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების“

ფორმა N7

დოქტორანტის მიერ შესრულებული სამეცნიერო პუბლიკაციები

დოქტორანტის სახელი, გვარი ----------

ბსუ-ს ფაკულტეტი ----------

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ----------

სადოქტორო ნაშრომის დასახელება ----------

	სამეცნიერო პუბლიკაციის დასახელება	გამოქვეყნების წელი	ჟურნალი, ტომი, გვერდი, ელ. მისამართი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	სამცნიერო ბაზის დასახელება	თანაავტორი (არსებობის შემთხვევაში)	შენიშვნა

დოქტორანტის მიერ შესრულებული/გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციები შესაბამისობაშია ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით დადგენილ მოთხოვნებთან, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

დოქტორანტი ----------

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ----------

ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი: ----------

ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი: -----
რექტორის მოადგილე (სამეცნიერო მიმართულებაზე კოორდინირების ფუნქციით): ----------

თარიღი

,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების“

ფორმა N8

საერთაშორისო რეცენზირებისათვის დისერტაციის შემოკლებული ვარიანტის (რეფერატის) წარმოდგენისა და მისი შეფასების წესი

1. დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის (დისერტაციის) საერთაშორისო რეცენზირების მიზნით დოქტორანტის მიერ მომზადებული და წარმოდგენილი მისი შემოკლებული ვარიანტის (რეფერატი - 30-40 გვერდი) ინგლისურენოვანი ელექტრონული ვერსია ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახურის მიერ ეგზავნება უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში დასაქმებულ უცხოელ ექსპერტს, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.
2. ექსპერტი უნდა იყოს უცხოური უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალის ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი. რეცენზენტის კვალიფიკაცია უნდა იყოს დადასტურებული ბოლო 3 წლის განმავლობაში შესაბამისი დარგის/მიმართულების Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით.
3. მიუკერძოებელი, ობიექტური შეფასების მიზნით დოქტორანტისთვის ან/და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელისთვის/თანახელმძღვანელისთვის რეცენზენტის ვინაობა კონფიდენციალურია. რეცენზენტის დასკვნის გაცნობამდე რეცენზენტის ვინაობა რჩება ანონიმური.
4. ექსპერტის დასკვნისათვის გამოყოფილი დრო განისაზღვრება რეცენზირებაზე თანხმობის მიღების დღიდან ერთი თვის ვადით. აღნიშნულ ვადაში ექსპერტის პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში, რეფერატი ეგზავნება სხვა ექსპერტს.
5. ექსპერტის შეფასება მაქსიმუმ 20 ქულაა. თუკი შეფასება არის არანაკლებ 12 ქულა, დასკვნა დადებითია. უარყოფითი დასკვნის შემთხევაში ნაშრომი ეგზავნება სხვა ექსპერტს. განმეორებით უარყოფითი დასკვნისას ნაშრომი უბრუნდება დოქტორანტს გადასამუშავებლად, რისთვისაც განესაზღვრება ორი თვის ვადა.
6. რეცენზენტის მიერ რეფერატის შეფასების კრიტერიუმებია (ენიჭება ქულები):

ა) შინაარსი (მაქსიმუმ 4 ქულა) - მოწმდება: თემის აქტუალურობა; მსჯელობის უნარი; ავტორის მიზნის სიცხადე; ზუსტი, კონკრეტული და კომპლექსური არგუმენტაცია; ნაშრომის ძირითად საკვლევ საკითხებზე კონცენტრირება;

ბ) ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი (მაქსიმუმ 4 ქულა) -მოწმდება: ავტორის მიერ იდეის განვითარება და საკითხის სიღრმისეულად შესწავლა; კვლევის მეთოდების აღწერა, კვლევის მეთოდოლოგიის დასაბუთება; პოზიციის ნათლად და სარწმუნოდ არგუმენტირება;

გ) მონაცემთა სარწმუნოობა (მაქსიმუმ 4 ქულა) - მოწმდება: გამოყენებული წყაროების სანდოობა, მონაცემთა სისწორე, ციტირების წესი და ბიბლიოგრაფია.

დ) სტრუქტურა (მაქსიმუმ 4 ქულა) - მოწმდება: ნაშრომის სტრუქტურული აგებულება; ცალკეულ თავებს (ქვეთავებს) შორის ლოგიკური ბმა;

ე) შედეგები (მაქსიმუმ 4 ქულა) - მოწმდება: კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისობა კვლევის შედეგებთან. კვლევის განვითარების შესაძლებლობა გრძელვადიან პერსპექტივაში.

7. რეცენზირებისათვის გაწეული შრომის ანაზღაურება გაიცემა ექსპერტთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტით.

,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების“

ფორმა N9

(ამ დებულების გარდამავალი დებულების თანახმად, 2024-2025 სასწავლო წლისათვის სწავლის ვადაგაგრძელებული (დამატებითი სემესტრების) დოქტორანტებისათვის განსაზღვრული ფორმა)

საერთაშორისო რეცენზირებისათვის დისერტაციის შემოკლებული ვარიანტის (რეფერატის) წარმოდგენისა და მისი შეფასების წესი

საერთაშორისო რეცენზირებისათვის დისერტაციის შემოკლებული ვარიანტის (რეფერატის) წარმოდგენისა და მისი შეფასების წესი

1. დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი ინგლისურენოვანი რეფერატის (30-40გვ) ელექტრონული ვერსია ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახურის მიერ ეგზავნება უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში დასაქმებულ უცხოელ ექსპერტს, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.
2. ექსპერტი შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირი. მისი ვინაობა კონფიდენციალურია რეფერატის შეფასების ბსუ-ში მიღებამდე.
3. დოქტორანტის დისერტაციის შემოკლებული ვერსიის/სტატიის რეცენზირება შეიძლება მოახდინოს აგრეთვე: 1) უნივერსიტეტში მოწვეული პროფესორის (visiting professor) სტატუსით მყოფმა, უცხო ქვეყნის პარტნიორი უნივერსიტეტის და/ან სამეცნიეროკვლევითი ცენტრის პროფესორმა და/ან მკვლევარმა, მისი თანხმობის შემთხვევაში; 2) უნივერსიტეტში ამა თუ იმ სამეცნიერო სტიპენდიით, კვლევითი გრანტით მყოფმა უცხოელმა პროფესორმა და/ან მკვლევარმა, მისი თანხმობის შემთხვევაში (მაგალითად, DAAD-ის, Fullbright-ის სტიპენდიანტები და სხვა).
4. ექსპერტის დასკვნისათვის გამოყოფილი დრო განისაზღვრება რეცენზირებაზე თანხმობის მიღების დღიდან 1 (ერთი) თვის ვადით. ამ ვადაში ექსპერტის პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში, რეფერატი ეგზავნება სხვა ექსპერტს.
5. რეცენზირებისათვის გაწეული შრომის ანაზღაურება გაიცემა ექსპერტთა გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.
6. რეცენზენტის მიერ რეფერატი დადებითად ფასდება, თუ ის მოაგროვებს არანაკლებ 12 ქულას.
7. თუ ექსპერტის შეფასება არის არანაკლებ 12 ქულა, დასკვნა დადებითია. თუ ექსპერტის შეფასება უარყოფითია, ნაშრომი ეგზავნება სხვა ექსპერტს. ორი უარყოფითი დასკვნის მიღების შემთხვევაში ნაშრომი უბრუნდება დოქტორანტს არაუმეტეს ორ თვეში გადასამუშავებლად.
8. შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ა) შინაარსი (მაქსიმუმ 4 ქულა) - მოწმდება: პრობლემის აქტუალობა; დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი; ავტორის მიზნის სიცხადე; ზუსტი, კონკრეტული და კომპლექსური არგუმენტაცია; ნაშრომის ძირითად საკვლევ საკითხებზე კონცენტრირება;

ბ) ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი (მაქსიმუმ 4 ქულა) -მოწმდება: ავტორის მიერ ყველა იდეის სრულად განვითარება საკითხის სიღრმისეულად შესწავლა; საკვლევი საკითხის ამომწურავად შესწავლა; ავტორის პოზიცია გამყარებულია თუ არა ნათელი და სარწმუნო არგუმენტაციით; არის თუ არა საკმარისი რაოდენობის დამხმარე ლიტერატურა; არის თუ არა დამხმარე ლიტერატურა სპეციფიკური და არა ზოგადი; გვაქვს თუ არა აკადემიური და მიმდინარე შრომების ბალანსი.

გ) მონაცემთა სარწმუნოობა (მაქსიმუმ 4 ქულა)- მოწმდება: მონაცემების სისწორე; წყაროდ გამოყენებულია თუ არა კომპეტენტური ავტორის მიერ დაწერილი ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია კარგი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ; პირველწყაროდან იღებს თუ არა ავტორი თანამედროვე მეცნიერების მონაცემებს; რამდენად ორგანულად ერწყმის ტექსტს მოყვანილი ციტატები; არის თუ არა მონაცემები მოყვანილი შესაბამისი წყაროებიდან და არის თუ არა ყველა ციტირებული წყარო აღნიშნული ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში.

დ) სტრუქტურა (მაქსიმუმ 4 ქულა) -მოწმდება: არის თუ არა ნაშრომი კარგად სტრუქტურირებული; კეთდება თუ არა მეტი აქცენტი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე, ხოლო უფრო ნაკლები – შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მქონეზე; სტატია კარგად არის თუ არაორგანიზებული და მისი ნაწილები თუ არის ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში; როგორია პარაგრაფიდან პარაგრაფზე გადასვლა. თითოეული პარაგრაფი სრულად თუ არის განვრცობილი.

ე) შედეგები (მაქსიმუმ 4 ქულა) -მოწმდება: შედეგები რამდენად არის ახალი, მნიშვნელოვანი და დამაჯერებელი; შემუშავებულია თუ არა ახალი მიდგომა; არის თუ არა ახალი მონაცემები ახალი დასკვნებისათვის; ხომ არ არის დასკვნებში სუსტი ადგილები; ლოგიკურია თუ არა დასკვნები.